საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 8 16 00331311

04/04/2016

**ა(ა)იპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის"**
**ვიცე-დირექტორს ბ-ნ პაატა გაფრინდაშვილს**
**ელ.ფოსტა:n.vakhtangashvili@factcheck.ge**

**ბატონო პაატა,**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განხილულ იქნა თქვენი 2016 წლის 24 მარტის წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის N300301; 28.03.2016), რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას სასკოლო მზაობის პროგრამის შესახებ. აღნიშნულის პასუხად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების, ასევე ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-7 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ელ.ფოსტაზე დანართის სახით გიგზავნით საჯარო ინფორმაციას(იხ.თანდართული ფაილი).

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

დანართი: 1 (ერთი) ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე**
**პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე**

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ნინო გაბრიელაშვილი



სასკოლო მზაობის პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით შემუშავდა. იგი ითვალისწინებს 30 კვირის განმავლობაში, დღეში სამ საათიან დატვირთვას და განკუთვნილია საბავშვო ბაღების უფროსი ასაკის ჯგუფებისათვის. აღნიშნული პროგრამა 2015 წელს გადაეცათ, როგორც თბილისის, ასევე, რეგიონალური მუნიციპალიტეტების საბავშვო ბაღებს. შესაბამისად, 2015 წლის ოქტომბრიდან პროგრამა დაინერგა თბილისის და რეგიონალური მუნიციპალიტეტების საბავშვო ბაღებში.

სასკოლო მზაობის პროგრამა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: აღმზრდელის სახელმძღვანელო (გზამკვლევი), აქტივობების კრებული და ტრენინგ მოდული აღმზრდელებისათვის. სასკოლო მზაობის პროგრამა თამაშით სწავლების მეთოდიკის საშუალებით, 5-6 წლის ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადებას ითვალისწინებს. იგი ხელს უწყობს აღსაზრდელის მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას; მოტორული, სოციალური, ემოციური, შემეცნებითი უნარების გამომუშავებას, კომუნიკაციისა და მეტყველების განვითარებას. პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვის სათანადოდ მომზადებას პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის. იგი ეხმარება თითოეულ მათგანს, მაქსიმალურად განივითაროს თავისი პოტენციალი და ჩამოუყალიბდეს საჭირო უნარ-ჩვევები მომავალი ცხოვრებისა და წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის.

რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, თუ რამდენ ბაღში ხორციელდება კონკრეტულად, აღნიშნული პროგრამა, მოგახსენებთ, რომ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები არ შედიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში. დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16 მუხლის თანახმად, საბავშვო ბაღები არის შესაბამისი მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში.

სასკოლო მზაობის პროგრამა გარდა საბავშვო ბაღებისა, განკუთვნილია სამ საათიანი სასკოლო მზაობის ჯგუფებისათვის, რომლებიც შესაძლებელია, გაიხსნას როგორც სკოლის, ასევე სხვა შესაბამისი დაწესებულების შენობაში. ამდენად, სასკოლო მზაობის სამ საათიანი ჯგუფების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია რეგიონალური მუნიციპალიტეტებიდან.